№ 89 სახალხო გაზეთი № 89

კვირა, 22 აგვისტო, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
**სახალხო გაზეთი**
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
**სურათებიანი დამატება**
**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური
დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.
ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.
****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****
კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.
„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.
წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

ხონში გარდაიცვალა სტუდენტი
**სვიმონ გიორგის ძე ქუთათელაძე**
რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დედა მისი მარონა გიორგის ასული, რძალი ნადეჟდა ივანეს ასული, და ნატალია გიორგის ასული და ძმანი იოსებ, ლევან და ვლადიმირი. დასაფლავება მოხდება კვირას, ნაშუადღევის 4 საათზე ხონში. (1—1)

ოთხშაბათს 25 აგვისტოს, ვერის სომხეთა სასაფლაოზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი დაუვიწყარ ამხანაგის
**სერგეი დავითის ძის ევანგულოვის**
სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რკინის გზის მოსამსახურე ამხანაგები მიცვალებულისა პანაშვიდი დაიწყება დილის 11 საათზე. (1—107—1)

**ქ. ქუთაისში**
თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობის
**წიგნის მაღაზიაში**
დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული **სახელმძღვანელო წიგნები.**
სახალხო სასწავლებლებს, სახალხო ბიბლიოთეკებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10 პროცენტი. ყდაზე გადახდებათ თითო შაური.
ვინც ფასდადებით გამოიწერს, მან ბე უნდა გამოგზავნოს. აქვე იმყოფება უმთავრესი საწყობი შემდეგი წიგნებისა:

1. გუთანი, ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი, შედგენილი ქუთ. ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. . . . . . . ფასი 80 კ.
2. ქართული გრამატიკა ს. ხუნდაძისა, . . . . . . „ 50 „
3. ქართული წერის დედანი, ს. დათეშიძისა, . . . . . „ 20 „
3. ბატონ-ყმობა საქართველოში, ალ. ხახანაშვილისა, . . „ 50 „
5. საქართველოს ისტორია ს. ქვარიანისა, . . . . . „ 25 „
6. ელისო, მოთხრობა ალ. ყაზბეგისა, . . . . . . „ 10 „
7. დედა-ენის ზოგიერთი სიტყვების განმარტება, პ. ჭარაიასი. . „ 15 „

(25—6—5)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—420)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ. ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.
**გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 21/2—31/2 ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარ. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**სხიბოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლეი 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—259)

**ქუთაისის ქალაქის თეატრი**
კვირას, 22 აგვისტოს გაიმართება
**თამარ ძნ ლაძის კონცერტი**
პეტერბურგის ახალი თეატრის მსახიობი რ. ვ. ჩაიკოვსკაიას მონაწილეობით დეკლამაცია და სიმღერა (რომანსები).
ქ-ნი ჩაიკოვსკისა წაიკითხავს ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის ხსოვნის საპატივსაცემლო ლექსს. ბილეთები იყიდება.
დასაწყისი საღამოს 9 ს. (3—3)

**კვირას, 5 სექტემბერს**
დღის $11^1/_2$ საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში
მოხდება პირველი საზოგადო კრება ახლად მთავრობის მიერ ნება დართულ
**„ქართველ მომღერალთა საზოგადოება სანთურისა.“**
განსახილველია:
1. გაცნობა საზოგადოების წესდებისა;
2. ახალ წევრების მიღება;
3. საზოგადოების გამგეობის არჩევა. (5—3)

—კვირას, 22 აგვისტოს, დიდუბეში, ეკლესიის მახლობლად მარცხნივ მხარეს—
გაიმართება 9 საინტერესო კავკასიური



**ჭიდაობა**
პირუტყვთა მზრუნველ საზოგადოების სასარგებლოდ
ამ კვირია იჭიდავებს ძველი სახელოვანი გამოჩენილი
**მოჭიდავენი**
იჭიდავებენ ერთმანეთის გამოთხოვნით.
1. თედო ავალიშვილი (ლილოელი) და ნავასარდ არაქელოვი. 2. გიორგი ლოთიაშვილი (გორელი) და შაშუა მეფურგუნე. 3. მიხაკო ქურხული და ვასო ბეკურაშვილი. 4. ვასო კოშკელაშვილი (ნავთლუღელი) და სანდრო კბილაშვილი. 5. გიორგი მანუჩაროვი (ტფილისის ნავთლუღელი) და თედო კაკაშვილი. 6. ივანე პანკისელი და თედო ნასეიჩიკი. 7. პატარა დალაქიშვილი და ივანე ბეზუტაშვილი. 8. ივანე ლომიძე და რაფიელ გაბათაშვილი (ლილოელი). 9 [illegible] (მუშა ნახიჩევნელი) და ლეკი მ. მედ ამინ [illegible].
გარდა ამისა იჭიდავებს ჭიდაობის მოყვარულნი.
ადმინისტრაციას აქვს სრული უფლება შესცვალოს მოჭიდავენი
დასაწყისი საღამოს 51/2 საათზე. ადმინისტრატორი ნ. კიკნაძე. (1—363—1)

**ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო სკოლა**
(საპიორის ქუჩა ყდენტის სახლი № 18)
მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, სიმღერის, (solo) და თეორიისა და ნოტების კითხვის (solfegio.) კლასსებში დაიწყება 26 აგვისტოდან დილის 10 ს. ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ამ ზემო აღნიშნულ დროსვე მოხდება ხმების გასინჯვა იმ პირთა (ქალთა და ვაჟთა), რომელთაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ ფასით ახლად დაარსებულ საეკკლესიო გუნდში, რომელიც იგალობებს ქვაშვეთის წმ. გიორგი ეკკლესიაში.
**სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.** (2—105—1)

**პირველი**
ყველასათვის ხელ-მისაწვდომი
**კლასები ფორტეპიანოსი**
თავისუფალ მხატვრის პიანისტის
**იოსებ გიორგის ძე ტერ-დავიდოვისა.**
ტფილისი. ელისაბედის ქ., N 40.
**გაკვეთილი:**
თავის ბინაზე 10 მ. თვეში (კვირაში 2 გაკვეთილი) და 8 მ. თვეში (კვირაში 1 გაკვეთილი).
გაკვეთილი მოწაფის ბინაზე: 25 მ. თვეში (კვირაში 2 გაკვეთილი), და 15 მ. თვეში (1 გაკ. კვირაში). ფასი თვის დასაწყისში, წინ და წინ. ღარიბები, ვისაც ნიჭი აქვს, უფასოდ სწავლობს და მიიღებიან კონკურსით თავისუფალ ადგილებზე. ამათ უნდა წარმოადგინონ სიღარიბის მოწმობა. უფასო ადგილი 30.
ვინც დაწინაურდება, გაივლის მუსიკის თეორიასაც. ყოველ წელს იმართება კონცერტები. უქმობენ კვირა-უქმე დღეებს. (20—ნ.—3)

**დაიბეჭდა და იყიდება**
თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ქუთაისში
**ბატონ ყმობა საქართველოში**
ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. ფასი 50 კაპ.
**საქართველოს ისტორია**
ს. ქვარიანისა.
ფასი 25 კაპ. (15—ფ.—8)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან ხნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—200

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** გაბ. ი. გოკიელოვი
ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—ნ.—50)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79 (0—ნ.—30)

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^1/_2$—$6^1/_2$ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
იზმაილოვის ქუჩაზე N 2. **გადავიდა** იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი** ვ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ხალ.—15)

**სურამის კერძო პროგიმნაზიაში**
1910 წლის პირველ ენკენისთვიდან
**იხსნება მე-2 კლასი.**
მისაღები ეგზამენები დაიწყება 25 აგვისტოდან. (4—382—1)

**ახალგაზრდა ქალი**
(სოფლის მასწავლებელი),
**ეძებს**
ალაგს მაღაზიაში (კასირის), ბიბლიოთეკებში, აგრეთვე შეუძლიან ბავშვების მომზადება დაბალ კლასებში და სხვ. იკითხონ: ბაგრატიონის ქ., № 4, რომანოზ იარამოვთან. (2—101—2)

**ქირავდება** ერთი ოთახი ზემო სართულში მზიანი და ნათელი. შეიძლება მოწყობილობით და სადილით. კირიჩნი და ელისაბედის ქუჩის კუთხე № 69. მარჯვენა ზემოთი ზარი. იქვე მიიღებენ მოწაფეებს სრულ ხარჯზედ.

**ნაფიცი ვექილი**
ლუკა ლუკას ძე
**ბახტაძე**
გარდავიდა გოლოვინის პროსპექტზე სახლი 28.
(3—104—1)

გამოვიდა მე 33 ნომერი




თითო ნომერი 10 კაპ.
მოიკითხეთ რკინის გზის შკაფებში და მეგაზეთეებთან.
წლიური ფასი 5 მან., ნახევარი წლით 3 მან. ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან.
რედაქტ.-გამომც. იოსებ იმედაშვილი.

**„განათლების“**
საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ ბავშვების მიღება და ხელმეორე გამოცდა ხსენებულ საზოგადოების საქალებო სკოლაში. როგორც განყოფილებებში, აგრეთვე პროგიმნაზიულ სამ კლასში დაიწყობა 26 აგვისტოდან დილის 9—1 საათამდის სწავლა დაიწყობა 1 ენკენისთვეს.
ადრესი: სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა № 6, საკუთარი სახლი (3—1).

**ნარკვევი**
(ჟურნალ-გაზეთებიდან)
გუშინ ჩვენ მოვიყვანეთ აზრი გაზეთ „რეჩისა“ შესახებ ახალ კანონ-პროექტისა რუსეთის სხვა ქვეშევრდომთა უფლებრივ გათანასწორებაზე ფინლიანდიის მოქალაქეებთან. ეს კანონ-პროექტი უნდა წარედგინოს განსახილველად ფინლიანდიის სეიმს, რომელიც შეიკრიბება 1 ენკენისთვეს. გაზეთი „ნოვოე ვრემია“ ძლიერ გახარებულია ამ მოვლენით, ვინაიდან, მისი აზრით, დღეს-დღეობით
რუსების მდგომარეობა ფინლიანდიაში სასირცხოა, მათი უფლება შეზღუდულია, როგორც პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სფეროებში, აგრეთვე ეკონომიურშიდაც და თვით კერძო ცხოვრებაში.
ამის შემდეგ „ნოვ. ვრემია“ ჩამოსთვლის, თუ რაში გამოიხატება ეს სასირცხო მდგომარეობა რუსებისა ფინლიანდიაში და, რა თქმა უნდა, ყველაზედ უფრო იმასა სწუხს, რომ რუსის მოხელეებს არ შეუძლიანთ რაიმე ადგილი მიიღონ ფინლიანდიაში სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ისეთ მოხელეებს, რომელთაც ფინლიანდიაში არ მიუღიათ სწავლა ან და იქ არ დაუჭერიათ სათანადო ეგზამენები და რომელთაც მაშასადამე არ იციან არც იმ ხალხის კანონები და არც მისი ენა და ზნე-ჩვეულებანი.
მაგრამ ყველაზედ უფრო საინტერესოა ის საბუთი, რომელიც ახალ კანონ-პროექტის საჭიროების დასამტკიცებლად „ნოვოე ვრემიას“ მოჰყავს
ფინლიანდიაში მცხოვრებ რუსთ უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახალხო წარმომადგენლების არჩევნებში, სათემო, სასოფლო და საქალაქო თვითმართველობებში... რუსებს ფინლიანდიაში არა აქვთ თავისუფლება სიტყვისა, კრებებისა და კავშირებისაო, დასძენს გაზეთი.
ასე გამოდის, თითქოს რეაქციონური „ნოვოე ვრემია“ თავისუფლების დიდი გულშემატკივარი იყოს, სიტყვის, კრებების, კავშირების, თავისუფლების და სახალხო წარმომადგენლობის მხურვალე მომხრე, დემოკრატიული ფინლიანდია კი წინააღმდეგი, ის ფინლიანდია, საითაც გაქცევის დროს გარბიან ხოლმე რუსები, როცა თავის სამშობლოში ვერ ახერხებენ ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე თავისუფალ მსჯელობას.

**დეპეშები**
(პეტერბ. ტელეგრაფის სააგენტოსაგან)
21 აგვისტო.
საზღვარ-გარედ
**ბუქარესტი.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით რუსეთიდან მოსულები, საზღვარზე დეზინფექციის შემდეგ, რუმინიაში ათ-ათი დღე სასანიტარო ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან.
**ინკოუ.** იაპონელ ექიმთა გამოკვლევით აქ რამდენიმე ჩინელი გარდაიცვალა ხოლერისაგან. ხოლერამ იმსხვერპლა აგრეთვე ერთი იაპონელი, კვანტუნის ადმინისტრაციამ დააწესა სასანიტარო ზედამხედველობა ტაისენ-კუანჩენძის ხაზზე მოგზაურთათვის.
**სიმლა.** გუშინ დაკკაში ორმა ახალგაზრდამ რამდენჯერმე ესროლეს სასამართლოს მახლობლად ადგილობრივ პოლიციის ინსპექტორს, რომელიც მსუბუქად არის დაჭრილი მკერდში, ხელებში და ყურში. ბოროტ-მოქმედნი დაიპატიმრეს.
**ლონდონი.** ნიუკასტლის და პარტიკის ქარხნებში მჭედელ მუშებთან უთანხმოებისა გამო გემების ამშენებელ მექარხნეების და კავშირმა დაადგინა, ხვალ გამოაცხადოს ლოკაუტი მთელს ინგლისში ყველა მუშებისა, რომელნიც კი მე ქვაბეების კავშირს ეკუთვნიან. სულ მაოს 50,000 კაცი დაჰკარგავს.
**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, ნიკარაგუაში მშვიდობიანობის აღდგენისა გამო, ბლიუფილდიდან საზღვაო ჯარის გამოწვევის შესახებ.
**რომი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 18, გარდაიცვალა 11.
**დარჯილინგი.** (ინდოეთი) ტიბეტის ექსპედიციისათვის დამზადებული სამხედრო სურსათი წაიღეს. ხმა დადის, მთავრობამ ინდოეთ-

ტიბეთის საზღვარზე გალაშქრება გადიფიქრაო. დალაი-ლამის მახლობელ წრეებში დიდი მწუხარებაა გამეფებული. ამბობენ დალაი-ლამას პეკინის მთავრობასთან მოლაპარაკება აქვს გამართულიო.

## რ უ ს ე თ ი

**ვლადივოსტოკი.** მოსაზღვრე სოფელ პოლტავაში ორმა დაპატიმრებულმა ჩინელმა, რომელნიც დამწყვდეული იყვნენ სტანიცის სამმართველოსთან, გატეხეს შენობა დასჩეხეს სამი ყარაული, რომელთაგან ორნი უკვე გარდაიცვალნენ, და გაიქცნენ.

**ოდოევი.** სამაზრო ერობის საგანგებო კრებამ დაადგინა, სამართალში მისცეს საბჭოს თავმჯდომარე ტოროპჩინინოვი საერობო ფულის თვითნებობით ხარჯვისთვის.

**ტიუმენი.** მოგზაური რეპჩეკი, რომელიც ორ გაწრთვნილ მგლებით მოგზაურობს, ჩიტიდან გზად გამოიარა აქ პეტერბურგისკენ.

**ხარბინი.** გაიხსნა აღმოსავლეთის და უსურიის გზათა სკოლების მასწავლებელთა მეხუთე კრება.

**იაროსლავლი.** ვოლგის ნაპირზე იაროსლავლეს მახლობლად ორი არშინის სიღრმეზე იპოვეს ქვიშაში ჩაფლული 4 ზარი თეთრის ფერის ლითონისა. როგორცა სჩანს, ვერცხლისა, ერთი სამ ფუთიანი, დანარჩენი თითო ორ-ორი ფუთიანი. წარწერები არა აქვს.

**უფა.** გუბერნატორის თაოსნობით ბავშვების თავშესაფართა საგუბერნიო სამზრუნველო ჰმართავს ადგილობრივ შინა-მრეწველობის ნაწარმოებთა გამოფენას. გამოფენის დანიშნულებაა დაეხმაროს შინამრეწველებს.

**სევასტოპოლი.** ავიატორი მისისიროვი, რომელიც ბლერიოს ჰაეროპლინით აფრინდა 8 მეტრის სიმაღლეზე, ძირს ჩამოვარდა. ჰაეროპლანი დაიმსხვრა და ავიატორი მსუბუქად დაშავდა.

**პეტერბურგი.** ვაჭრობის სამინისტროსთან მოაწყეს უწყებათაშორისო საბჭო, რომელიც განიხილავს კანონ-პროექტს პრივილეგიების მიცემის შესახებ ისეთ აღმოჩენებზე, რომელნიც სახელმწიფო დაცვისთვის გამოდგებიან.

**მოსკოვი.** დააპატიმრეს თორმეტი ანარქისტ-კომმუნისტი, რომელნიც შეიარაღებულ თავდასხმისთვის ემზადებოდნენ. უპოვეს ასაფეთქებელი მანქანები და იარაღი.

**გროდნო.** ბრესტის მაზრაში სოფელ მურავჩიცში ცეცხლმა ყველა შენობები გაანადგურა. დაიწვა ერთი ხუთი წლის ქალიც.

**სიმფეროპოლი.** ბერდინსკიდან მომავალ მატარებელზე სამმა შეიარაღებულმა ავაზაკმა საერთაშორისო ბანკის კაცს 30,000 მ. მოსტაცა.

**პეტერბურგი.** „სოვრ. სლოვ.“-ს რედაქტორი გრადონაჩალნიკმა 300 მან. დააჯარიმა გაზეთის № 895 ში მოთავსებულ წერილისთვის სათაურით „პლევე და აზეფი“.

**ოდესსა.** გაიხსნა მევენახეთა და მეღვინეთა საოლქო კრება. კრებას დაესწრნენ მიწადმოწყობის მთავარ სამმართველოს წარმომადგენელნი. თავმჯდომარედ აირჩიეს ბესსარაბიის საგუბერნიო საბჭოს თავმჯდომარე ალეინიკოვი. კრება ხუთ დღეს გასტანს.

### ხოლერა და შავი ჭირი

**ოდესსა.** შავი ჭირის საწინაღმდეგო ბიუროს ცნობით ეპიდემიის გაჩენიდან შავი ჭირით ავად გახდა სულ 76, გარდაიცვალა 18, მორჩა 21, ავად არის 37.

**პრჟევალსკი.** 16 აგვისტოს აქსაიში, ატბაშინის ნაწილში, აღმოაჩინეს 16 შემთხვევა—ექიმის აზრით, შავი ჭირისაგან სიკვდილისა.

**პეტერბურგი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 62, გარდაიცვალა 23, სავადმყოფოებში იმყოფება 694.

**პეტერბურგი.** შავი ჭირის საწინააღმდეგო კომისიამ დაავალა შავი ზღვის სანაპიროების საექიმო ინსპექტორს დამასკინს, გაეცნოს შავი ზღვის სანავთსადგურო ქალაქებში შავი ჭირის წინააღმდეგ მიღებულ ზომებს.

**პეტერბურგი.** ენისკისკის და ოლონეცკის გუბერნიები ხოლერის მხრივ საშიშო ადგილებად გამოცხადდა

**პეტერბურგი.** სააგენტომ მიიღო შემდეგი ცნობები ხოლერის მოძრაობაზე: კვირის განმავლობაში ვარვარინოს მაზრაში ავად გახდა 26, მოკვდა 28; ეპიდემის გაჩენიდან ავად გახდა 1157, მოკვდა 556. რადგან ეპიდემია შესუსტდა, ხოლო ზოგან მოისპო კიდეც, დაბალი სამედიცინო პერსონელი შეამცირეს და ზოგიერთი. ბარაკი დახურეს. იაროსლავლში ავად გახდა 28, მოკვდა 27; იაროსლავლის მაზრაში გახდა ავად 33, მოკვდა 24; დანარჩენ მაზრებში ავად გახდა 49, მოკვდა 26 ბარნაულში მოკვდა 1, ავად გახდა 1.

**მოსკოვი.** საქალაქო და საერობო ექიმებს თათბირი ჰქონდათ შავ ჭირიან საბრძოლველ ზომების შესახებ.

# ახალი ამბები

## ტ ფ ი ლ ი ს ი

**გაზეთის კონფისკაცია.** ტფ. საცენზურო კომიტეტის განკარგულებით, „ახალი გზის“-ს გუშინდელი ნომრები პოლიციამ დაატუსაღა. გუშინ დილით პოლიცია ადრე მივიდა „შრომის“-ს სტამბაში, სადაც „ახალი გზა“ იბეჭდება, და წაიღო 150 ცალი გაზეთი, ამდენივე წაიღო რედაქციის კანტორიდან. წაიღეს აგრეთვე ყველა ნომრები ფოსტიდან.

**საფილოქსერო კომიტეტი.** როგორც მკითხველთ უწყიან, სიღნაღის მაზრის სოფლებ ბაისუბანსა, ლელიანსა და პატარა გორაში ვაზს ფილოქსერა აღმოაჩნდა. ამის გამო კრება ჰქონდა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს და საჭიროდ დაინახა ავადმყოფი ვაზები გაიჩეხოს და ნიადაგს უწამლოს გოგირდის ნახშირბადით. აგრეთვე დაინახა საჭიროდ სიღნაღის მაზრაში დაარსოს კომიტეტის განყოფილება, რომელშიაც შევლენ: მაზრის უფროსი, მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, მომრიგებელი მოსამართლე და სოფლის საზოგადოების ორი წარმომადგენელნი. განყოფილებას ხელმძღვანელად ეყოლება რაიონის აგრონომი და საფილოქსერო ჯგუფის გამგე.

**ხოლერა.** 20 აგვისტოს ტფილისში, პოლიციის ცნობით, ხოლერის ნიშნებით ავად გახდა და ხოლერიანთა სამკურნალოში გაგზავნეს 5 კაცი. მათი გვარები: 1) რეიგან მუსა-კისი, 2) მარიამ მეცლერი, 3) ჰაჯი მამედ ოღლი (გარდაიცვალა), 4) კიაზიმ ხალილ ოღლი და 5) ჰუდამ მირზა ჰუსეინ-ოღლი.

**უბედური შემთხვევა.** ამ დღეებში ეგრედ წოდებულ „ბაიტალო“-ს ტყეში გარეულ ღორებზე სანადიროდ წასულან ბორჩალოს მაზრის სოფ. ბრდახორის მცხოვრებნი—ბიძაშვილნი კაკრამან და იასეფ ასლიკოვები. ღამით კაგრამანი ჩირგვში ჩასაფრებია ღორებს, ხოლო იასეფს აქედ იქით გაუვლია საფარის საპოვნელად. უცებ ჩირგვში შეუნიშნავს თავისი ბიძაშვილი, გარეული ღორი ჰგონებია და თოფით სასიკვდილოდ დაუჭრია კაგამანი.

**მეპურეთა თავგასულობა.** კარგა ხანია გაისმის მცხოვრებთა საჩივარი იმის გამო, რომ მეპურენი მესამე ხარისხის პურს სამყოფად არ აცხობენ ამ დღეებში პოლიცმეისტერმა შეამოწმა ეს ხმები პირადად და დარწმუნდა, რომ მეპურეთა უმრავლესობა მესამე ხარისხის პურს სრულებით არ აცხობს. პოლიცმეისტერმა 76 მეპურეს შეუდგინა ოქმი, სია გუბერნატორს წარუდგინა და სთხოვა მეპურენი სასტიკად დასაჯონ.

**ხოლერა ტფ. მაზრაში.** სოფელ ჯიგრაშენში ხოლერით ავად გახდა ვასილ მურადოვი და ელენე ხუჯურზოვისა.

**სახალხო უნივერსიტეტი.** ორშაბათს, 23 აგვისტოს მოჰხდება ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრთა კრება.

**ზომები საქონლის ჭირის წინააღმდეგ.** ერევნის გუბერნატორი სთხოვს ტფილისისას განკარგულება მოახდინოს, რომ ტფილისის გუბერნიიდან ბეითალთა შეუმოწმებლად ერევნის გუბერნიაში საქონელი არ გაირეკონ ასეთივე განკარგულება მოუხდენია ერევნისს გუბერნატორს თავისს გუბერნიაშიც.

**საჯარო ვაჭრობა.** დღეს, 22 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, ტფ. სამაზრო სამმართველოს შენობაში მოჰხდება საჯარო ვაჭრობა ყარაიაზის ტყეების იჯარით გასაცემად.

**ხოლერიანთა რიცხვი.** სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 20 აგვისტოს დილის 9 საათიდან 21 აგვისტოს დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 3 კაცი, ხოლერის ნიშნებით—1. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 19 ავადმყოფი, მოემატა—4, მორჩა და გამოეწერა—2, გარდაიცვალა—3, დარჩა 18.

**ახალი წიგნი,** რედაქციამ მიიღო ახალი შრომ. პროფ. ა- ხახანაშვილისა; „Матеріалы по грувѣка“. Огіологіи по рукописямъ X зинскіи წიგნი მოსკოვის ლაზარევეს ინსტიტუტის მიერ არის გამოცემული, XXVII და 77 გვერდს შეიცავს და კარგა და სუფთა ქაღალდზე არის დაბეჭდილი.

**დაცემა და გაცარცვა.** სოფ. საკორინთელოში (გორის მაზრა) რამდენიმე შეიარაღებული კაცი დაეცა სანოს დი ნიკო კუდუხაშვილების სახლს და დუქანს, წაიღეს ფული, ძვირფასი ნივთები ავეჯეულობა და მიიმალნენ.

**მადლობის გამოცხადება.** ალექსანდრაპოლის ქალთა წრის თავმჯდომარე მ. ჯაგროვისა უღრმეს მადლობას უცხადებს მსახიობ ვლ. ალექსი-მესხიშვილს რომელმაც ალექსანდროპოლში საზოგადოების სასარგებლოდ 12 ივლისს გამართულ საკონცერტო განყოფილებაში უსასყიდლოთ მონაწილეობა მიიღო.

**მინდვრის თაგვი.** როგორც გორ-ს მაზრიდან გვატყობინებენ, ბოლო ხანს აუარებელი თაგვი გაჩენილა და სიმინდს საშინლად აფუჭებს შემდეგ სოფლებში; ხოვლესა, კოდის-წყაროსა, ქვემო-ჭალასა, ნადარბაზევსა, ნიქოზსა, ახალსოფელსა, ზემო და ქვემო სობისა და სხვ.

**სანიტარულ აღმასრულებელ კომისიაში.** გუშინ, 21 აგვისტოს, ქალაქის სანიტარულ-აღმასრულებელმა კომისიამ საგუბერნიო სანიტარულ აღმასრულებელ კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინა თავის უკანასკნელ ორის კრების ოქმების ირი

**ხოლერა ბორჩალოს მაზრაში.** 14 აგვისტოდან 17 აგვისტომდე ბორჩალოს ერთს პატარა სოფელ ურუტში ხოლერით გარდაიცვალა 7 სული. ამათგან 5 კაცი მარტო ერთს ოჯახში მომკვდარა.

**ხოლერასთან ბრძოლა.** 24 აგვისტოს კრება ექნება ხოლერასთან მებრძოლ საქალაქო ბიუროს რამოდენიმე საკითხის განსახილველად.

**საქონლის ჭირი.** ტფ. მაზრის სოფელ მოხისში საქონლის ჭირი გაჩენილა.

**სამაზრო სამხედრო საკრებულოში.** 26 აგვისტოს დანიშნულია ტფ. სამაზრო სამხედრო საკრებულოს წევრთა კრება ახლად გამოცხადებულ ჯარისკაცთა ჯანმრთელობის შესამოწმებლად.

**სეტყვის შედეგი.** სეტყვას წელს ახალციხის მაზრის ბევრ სოფლისთვის დიდძალი ზარალი მიუყენებია. სოფელს კარზალეტს მოსვლია—1,170 მან. ზარალი, გავეტს-1560 მანეთისა, ნიალს—480 მან, აგარას—3,090 მ. ზედატმოგვს—1260 მან., ლიაპისს—1.380 მან. და გიორგიწმინდას—1.999 მან.

**ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“** რიგის მორიგი (33) ნომერი ხუთშაბათს გამოვიდა ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის სახსოვრად, უკვე გაყიდულა და რედაქციას მეორედ გამოუცია. ჟურნალის მთელი ნომერი შეეხება განსვენებულ მსახიობ ქალს ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისას, მოთავსებულია: ამ ნომერში: „სიკვდილი და სიცოცხლე“ —მეთაური; „დრომ თავისი ჰქმნა!—ი. ი—სა; „ნატოს“—ია ეკალაძისა; „ნ. მ- გაბუნია-ცაგარლისა (ნეკროლოგები); „ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის ავადმყოფობა და გარდაცვალება“; „ნატო გაბუნია ოცდა ათი წლის წინად“ — გ. თუმანიშვილისა; „გაწყდა სიმი“—აბაშელისა; „ნატოს“ — ამხანაგისა; „უკანასკნელი სალამი გამქრალ შთაგონების“—აკაკი ფაღავასი; „ეჰ, ვინ უწყის“—ი. გრიშაშვილისა; „ფას-დაუდებელი დანაკლისი“ — Artemiusi-სა; „ნ. მ. გაბუნია-ცაკარლისა ხსოვნას“ —კორდელისა; „სიკვდილი“—ს. გლახაშვილისა; „ნატო გაბუნია, როგორც მსახიობი. ნ. გაბუნიას წერილის ნაწყვეტი—ნიკო გოცირიძისა; „ჯოჯოხეთიდან სამოთხეში“ —გიორგი ფოცხოველისა; ნატო გაბუნია სახალხო სცენაზე კ—ასი; გაბუნია-ცაგარლის ხსოვნას—გ. შიხიანისა; „ნატო საგარაჯოდ ს. ზემოხვედურეთში“ — გოდ—ისა; „ვისზე როგორ იმოქმედა ნ. გაბუნიას

# ახალი ბატონები

**მოთხრობა ერთობის დროიდან.**

(ვუძღვნი ჩემ მასწავლებელს სოფრონ მგალობლიშვილს).

## I

— ნუ წახვალ, ნუ, დედა გენაცვალოს!.. საცაა დაღამდება: ქვეყანა ამღვრეულია, ყაზახები და „სტრაჟნიკები“ ბუზებივით ირევიან, ფათერაკს არას გადაეკიდო!—ემუდარებოდა ზაფხულის ერთ საღამოს მელანო გიგაური თავისს ერთად ერთ შვილს—ნიკას.

— ჩემი წაუსვლელობა შეუძლებელია, დედი! ვიცი დიდი საფრთხე მომელის, მაგრამ მთელი სოფელი, მთელი ჩვენი ქვეყანა უფრო დიდ განსაცდელშია! იმ თავზე ხელ-აღებულებმა კიდევ რომ რაიმე სისულელე ჩაიდინონ, მთელ ხეობას ააწიოკებენ, გაანადგურებენ... ერთობას შეგვიგინებენ, გლეხობას გული წაუხდება და ჩვენც აზრი გაგვიტყდება... არა! რაც იყოს-იყოს, უნდა წავიდე!—უპასუხა ნიკამ დედას და თავისს პატარა სახლის პაწია აივანზე ბოლთის ცემა დაიწყო.

— კარგი რამ არის, შვილო, ერთობა... მე ხომ ერთობის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ თავი მარტო შენ რათ გამოგიდვია? არა, შეხედე—გენაცვალოს დედა—ლეკიაანთ ბილასა, კირაანთ ბლვერისა, დიაკვნიანთ ზინოსა, მალხაზაანთ თედოსა, ი ყვიციან სიკასაც-კი,—ეგენიც ხომ ერთობის ხალხია, მაგრამ ხომ ხედავ, როგორ იქცევიან? ვისაც ხარი არა ჰყავდა, შვილო, ხარი გაიჩინა; ვისაც ვენახი არა ჰქონდა, ვენახი იყიდა; ვისაც სიმშილით სული სძვრებოდა, დღეს ხაჭაპურებს მიირთმევს... ლეკიანთ ბილას ქალამნის ჯღანებიდან ფარატინები სცვივოდა, მაგრამ ახლა უჩექმოთ ველარ გაუვლია. მართალია გუშინ დილით შემოგწუწუნებდა: ცოლ-შვილი შიმშილით მეხოცება, ერთობის საქმემ გადამიტანაო, მაგრამ გატყუილებს, შვილო, გატყუილებს! იმდენი ცეცხლი ჩაუვარდეს გულ-მუცელში, რამდენი მანათი და თუმანი ხალხის ზურგიდან აუტყავებია. დღეს დილით ნათლიაანთ ილიკოსაგან ერთი ხოდაბუნი უყიდნია და თვრამეტი სულ ოქროს თუმნიანი მიუცია... საიდან, შვილო, თუ არა მამაძაღლობითა და დედაძაღლობით შენაძენი?.. ყურებიდან ბამბა გამოიღე, შვილო, და კარგად გაიგე, რომ ერთობას თავის ჯიბისათვის ებღაუჭებიან... სოფელიც იმდენად ყრუა, რომ კარგი ხალხი ჰგონია და ათისთავებათა და ასისთავებათ დაუსკუპებია. დამიჯერე, გენაცვალოს დედა, და ჩამოშორდი მაგ ხალხს: აგრე კრიჭაში ნუ უდგეხარ, თორემ ჩაგკვლენ სადმე და მაშინ დაუდგება დედაშენს ორთავ თვალები!—ჩურჩულითა და ხვეწნით ეუბნებოდა დედა შვილს.

— დედა ჩემო, ნუ იცი ეგეთი ლაპარაკი! — გააწყვეტინა ნიკამ— ყველაფერი გამოჩნდება თავის დროზე, სოფელს არაფერი დაემალება და ჩვენი მოვალეობაც სწორედ ის არის, რომ სოფელს დავეხმაროთ, გამოვაფხიზლოთ.

— ბიჭო, შვილო! გეუბნევი: სოფელმა ყველაფერი კარგათ იცის, კარგათ ხედავს ყველას მამაძაღლობას, მაგრამ ხმას არ იღებს: ეშინიათ-მეთქი შვილო, ეშინიიათ!—გააწვრილა ხმა მელანომ და დაუმატა: შენ ხომ რკინის ადამიანი არა ხარ! თუ კი მთელი სოფელი ხელში დაიჭირეს, შენც გკვრენ ერთ ტყვიას— უწინაც ხელი გაუხმებათ—და მერე წადი და ირიკავე!

— შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობათ—სიტყვაბანზე აუგდო ნიკამ და დედის გასამხნევებლად დაუმატა:

— სიკვდილს, დედილო, ზურგით დავათრევთ... იმ დღეს არ იყო, რომ ჩვენებიანთ ნენეს ტახტზე ასვლის დროს ფეხი დაუსხლტა, თავით აგურის იატაკზე დაეცა და ჩვენი ჭირი წაიღო?! იმასაც ხომ არავინ გადამტერებია! ხა, ხა, ხა!—გადიხარხარა ნიკამ, მერე დედას მხარზე ხელი დაადო და განაგრძო:

— ნუ გეშინია, დედა ჩემო, ჩემი მომკვლელი ჩვენიანებში ჯერ არავინ დაბადებულა, ხოლო თუ მტერი დამეცემა, არც მე დავუსვამ იაფად, ამასა ხედავ?—ამ სიტყვებით ნიკამ ჯიბიდან ბრაუნინგი ამოიღო და ხელში დაატრიალა.

— იქით წაიღე ეგ ეშმაკის გაკეთებული!—არც თუ წყრომით, მაგრამ არც თუ გულ-მშვიდათ უთხრა დედამ და დაუმატა:

— თქვენისთანა ლაწირაკებს რო ხელში იარაღი ჩაუვარდათ, სწორედ იმან დაღუპა ქვეყანა... მაგითი მარტო შინაურებს აშინებთ...

— არა, დედა! იარაღი მხოლოდ მტრის მოსაგერებლათაა გაჩენილი და ვინც ქვეყნის მტერია, ტყვიაც იმას უნდა მოხვდეს გულში.

— მე ბევრი რაკარუკისა არა ვიცი რა—ახლა კი გაჯავრდა დედა— თუ მე არ გეცოდები, ი გოგო მაინც შეიბრალე, შე გიჟო, შენა. გადაეკიდე, სიტყვა მიე და ახლა მთელი დღე ტყე-ველად დახეტიალებ? თვალში ჩინი აღარ შერჩა იმ უბედურის შვილს, მთელი დღე შენ გზას შეჰყურებს...

„ი გოგო“ დედამ განგებ ახსენა. ნიკა ახალი დანიშნული იყო, გაგიჟებითაც უყვარდა მეზობლიანთ თინა და იფიქრა: იქნება წასვლა დაიშალოს და ამ საღამოთი მაინც სახლში დარჩესო.

თინას სახელის გაგონებაზე ნიკას სიწითლემ გადაჰკრა, სიამოვნებით გული აუძგერდა და დედისკენ ზურგ შექცეული კარგა ხანს ჩაფიქრდა, მერე თავი გაიქნია, თითქოს რაღაცას დასძლიაო, და გადაჭრითა სთქვა.

— ნუ, ნუ მტანჯავ, დედილო!... არ შემიძლიან... უნდა წავიდე... ხალხისა უფრო მოვალე ვარ... ნახვამდის... თინა მომიკითხე!—ყრუთ დაამთავრა ნიკამ, ვეფხვივით შემოტრიალდა, წაღის ყელები ამოიქაჩა და საჩქაროთ კიბეზე დაეშვა.

— ბიჭო, შვილო! ნეტა ვიცოდე მაინც, სად მიხვალ?—ხავხავით მიაძახა დედამ და თვალებიდან ცრემლები წამოჰყარა.

ნიკამ ხელი ჩაიქნია, უკან მოუხედავად ფეხს უფრო აუჩქარა და მაღლე თავიანთ საბძელს მიეფარა.

ჩამავალი მზე შარავანდედით დასდგომოდა სოფელ ვაშლოვანს, მაგრამ აივანზე ქანდაკებასავით გაშეშებულ და მომტირალ ბებერ მელანოს მისი ოქროს ფერი სხივებიც კი შავბნელად ეჩვენებოდა...

## II

მდინარე კილიანას ხეობა უღრანის ტყითა და ხშირის ბუჩქნარებითაა დაფენილი. ზოგან ისეთი ყრუ და დაბურული ხევ-ხუვია, რომ ყვავიც კი ვერ ჩაფრინდება. მაგრამ ადგილ-ადგილ, შუაგულ ტყეში, თითქოს განგებ გაუჩეხნიათო, მწვანე ბალახით აბიბინებულ ველებსაც შეხვდებით. ამ ველებზე უზარმაზარი კაკლის-ხეები ხარ...ბს და, ტყით გარშემორტყმული იგი ველები, საოცნებო სამყოფელი და მიუვალი საფარია.

ერთ ერთ ამ გვარ კაკლოვანში ხშირად იკრიბებოდა ხოლმე ქართლის შეიარაღებული ყმაწვილ-კაცობა—წითელ რაზმად წოდებული.

იმ დღეს, რა დღიდანაც ჩვენი მოთხრობა იწყება, ნიკამ გაიგო რომ კილიანას ხეობაში რაზმელებს კრება უნდა ჰქონოდათ და სწორედ აქეთ გამოსწია. თუმცა დედისათვის არა უთქვამს რა.

ნიკა გიგაური სოფლის შვილი იყო. მამა მისი, ს. ვაშლოვანის დიაკვანი, ადრე გარდაიცვალა, მაგრამ მელანო ვაჟკაცივით დატრიალდა და თავისი ობოლი სასწავლებელში მიაბარა. სწავლის დამთავრების შემდეგ, ნიკა ერთ ხანს ქალაქში მსახურებდა, მაგრამ როცა ხალხის მოძრაობა დაიწყო, სამსახური მიატოვა და სოფ. ვაშლოვანს მიაშურა: შეძლებისა დაგვარად სურდა სამშობლო სოფელს დახმარებოდა.

ერთობის ტრფიალსა და მშობელ ხალხის წინმსვლელობა—გამოფხიზლების ოცნებას ნიკა გიგაური იმ თავითვე მიეცა. ჯერ სულ პაწია ბიჭი იყო, როდესაც ნათლად იგრძნო და მერე განიცადა კიდეც ხალხთა უკულმართი ცხოვრება-დამოკიდებულება და მთელის თავისის არსებით ყოველ-გვარ ძალმომრეობასა და მჩაგვრელობას მტრად გადაექცა. ხალხი, მისი გათვითცნობიერება, გაადამიანება და მონობისაგან განთავისუფლება—აი რა იყო ნიკას საოცნებო საგანი და თავდავიწყებითაც შეუდგა ხალხის სამსახურს. როცა ჩვენმა დაჩაგრულმა გლეხობამ თავისუფლება მოითხოვა, ნიკა არც ერთ პარტიას ირ ეკუთვნოდა. იგი საერთოდ დაუძინებელი მტერი იყო ყოველ-გვარის ბატონობისა და მბრძანებლობისა, ხოლო კერძოთ კი მას ასულდგმულებდა საქართველოს, მშრომელ ქართველების გამოფხიზლების შესახები ფიქრი და სხვებზე იმდენად ზრუნავდა, რამდენადაც ეს სხვები არა სჩაგრავდნენ მისს სამშობლოს. გულით წმინდა და საქმით უებრო ნიკა ყველგან და ყველასაგან **სამართლიანობას** თხოულობდა და როცა სოფლად ზოგიერთა სინიდისზე ხელაღებულებმა თარეში დაიწყეს და „ერთობის“ სახელით გაბატონება და თავის ქვენაგრძნობათა დაკმაყოფილება მოინდომეს, გადასწყვიტა გამოემზევებინა თითოეულის მოქმედება და ამით სოფელი ახალის მონობისა და შეცდომებისაგან დაეხსნა.

სხვათა შორის სოფლად გაბატონებულიყო ნაყაჩაღარ კირაანთ ბლვერიასი და გასალახანავებულ ლეკიანთ ბილას რაზმი.

აი ამ რაზმის სანახავად მიეჩქარებოდა ახლა ნიკა გიგაური.

ნიკას ათი-თორმეტი ვერსი ჰქონდა ფეხით გასავლელი და მგლურის ნაბიჯით მიდიოდა.

დაღონებულ-დაძმარებული რაღაცა ფიქრებს გამოჰკიდებოდა და დრო-გამოშვებით ოხრავდა.

გზის პირებზე ლამაზად ტან-აყრილი სიმინდის ყანები ზღვასავით ღელავდნენ, განუწყვეტლად შრიალებდნენ და მათ მომზირალ გლეხებს გულს უხალისებდნენ. გლეხები კი მინდვრად ბლომად გაფანტულიყვნენ: ზოგი სიმინდს მარგლიდა, ზოგი რწყავდა, ზოგი ძნას ეზიდებოდა.

შრომა და ჯაფა ძველებური შერჩენოდათ, მაგრამ თითოეული მათგანი თითქოს უფრო გათამამებული იყო, სახიდან ჟანგი გადაჰფერთოდა და იმედიანად გამოიყურებოდა.

გარდაცვალებამ; ⁂—ნიკო ნინა—შვიდისა; წვრილი ამბები, დეპეშები და სურათები—ნ. გაბუნია სხვა და სხვა როლებში.

✦ 20 აგვისტოს საერთო წხრეკა-დაპატიმრების დროს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 72 უპასპორტო.

✦ ტფილისის საფოსტო კანტორაში 20 აგვიტოსი ვინმე იოსებ ბერუჩევი ცდილობდა მიეღო დიმდრი ბერუჩევის სახელზე მოსული ფულიანი პაკეტი. ბოროტგამზრახველს შეატყეს ეშმაკობა და პაკეტი არ მისცეს. იოსებ ბერუჩევი არ დაუტუსაღებიათ.

# პატარა ფელეტონი

## ღრუბელი

ჩადი, მზევ, ჩადი გორებში,
მთა-ველს მოჰფინე შავები...
ჩადი!.. როგორცა გგონია'
არც იგრე დამედარდება.
ანათებ, მაინც ცივი ვარ
და არ ანათებ მაინცა,
მწუხარე დავალ მთა-ველად,
თან დამაქვს ოხვრა, ვაიცა.
შენ ვერ გამათბობ მარადის
მოწყენილს, ცივსა ღრუბელსა,
მზევ, სხვას ახარებ ამ ქვეყნად
სხვის ლაწვზე აშრობ ჩემს ცრემლსა.

**ი. მჭედლიშვილი.**

## გველი

**პაწია საგონებელი ნიმუში**
(ჩემს შვილებს)

გველი...

აი, ჰრელი ვით მაცდური...

დაწყევლილია გამჩენისაგან, თვით ღმერთისაგან...

იგი: უგულო, ვით სიკვდილი: გრილი, თუმცა მზის პირზე მწოლი, მაინც ცივი, ვითა ყინული.

მას ყოველი, სულ იერი თუ უსულო, ერიდება; თვით ანკარა, ვით შთამომავალნი, მისი მგზავსება, ვერ უკავშირდება...

იგი დაღოღავს ბნელით თვით მშობელ დედამიწაზედ, ვით განდევნილი...

დაცურავ-ღოღვითა მწვანე ბალახსა, ოტყველ ტყის შვილთა საკვებ საზრდოსა, სოუთქავს და აჭკნობს, ვით გესლიანი; თვის მიკარებით, სურნელოვანსა ტყის ნაზსა მარწყვსა, ფრინველთ და ბავშვთა გამახარელსა, სწამლავს, ვით შხამიანი...

მისი თვალი მომხიბლველი მოტრფე ვარდისა ბულბულს აშტერებს. ხოლო გესლიან მახვილია ნექტრით კოკორა ვარდს აჭკნობს...

რა ჰქნას...

გველია, შხამიანი გველი...

გველი...

აი სისინით მოიკლაკნება, შხამავს ყოველსა რაც-კი რამ წინ ეფეთება...

იგია! მან, თავის გველობით, ჩემსა მშობელსა ჩაუძვრა გულში, ვით მოხიბლულსა...

დღესაც ადამიანი, თვით ჩემი ძმა, მას ერიდება... ხოლო იგი არა შორდება, ვით მეგობარი, გულში უძვრება...

რა ჰქნას, გველია...

ქერქ გამძვრალია?!...

არა! ეს მან, ხოლო კანი იცვალა, ვით კაბა „ფერისცვალობასა“ დედინაცვალმა.

თვით იგივეა...

ერიდეთ, გველია, შხამიანი გველი...

**ს. გლახაშვილი.**

# „სახალხო გაზეთის“ კანტორა

**აცხადებს, რომ 8 აგვისტოდან მოესპო გაზეთის გზავნა** იმ ხელის მომწერთ, ვისაც 6 მანეთზე ნაკლები ჰქონდა შემოტანილი. აგრეთვე მოესპოთ გზავნა თვიურ ხელის მომწერთაც, რომელთაც 8 აგვისტოსთვის არ შემოიტანეს ხვედრი ფული.

**მოვაგონებთ** **წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ივლისისათვის უნდა გადაეხადათ** წლიური ხელის მოწერის ფასი. ვისაც სრულად არა აქვს შემოტანილი, დააჩქარონ და შემოიტანონ.

**ვისაც ფული აქვს გამოსაგზავნი აუცილებლად ამ მისამართით გამოგზავნონ:**
**Тифлисъ, Большая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.**

**კანტორა პასუხის-მგებელი არაა,** თუ ფული სხვა მისამართით იყო გამოგზავნილი და გაზეთი არ მიუვიდათ. ვინც „სახალხო გაზეთზე“ ან სხვა სახელზე გამოგზავნა ფული, დააჩქაროს და განცხადება შეიტანოს ფოსტის კანტორაში ფული ზემოდ ნაჩვენებ ადრესზე გადასცენ. **„სახალხო გაზეთის“ კანტორა.**

# ნ. გ. გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალება

**როგორც საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან, ისე რუსეთის ქალაქებიდან მრავლად მოდის დეპეშები ჩვენს რედაქციაში ნ. გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალების გამო. ვბეჭდავთ ზოგიერთს მათგანს.**

## დეპეშები

**ოდესა,** ქართველთა სათვისტომო დიდათ შეაწუხა ჩვენის სცენის ნიჭიერ მსახიობის ნატალია გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალებამ.

სათვისტომოთ მდივანი: **იშხნელი**

—

**ხაშმი.** ხაშმის საზოგადოება ღრმად შეწუხებულია შეუდარებელ მსახიობის გაბუნია-ცაგარლის დაკარგვით. ვუცხადებთ საერთო მწუხარებას.

—

**ველისციხე.** საზოგადოება ღრმა მწუხარებას აცხადებს ქართულ სცენის ნიჭიერ მსახიობის, ძვირფას ნატოს გადაცვალების გამო.

**ვახვახიშვილები, აბაშიძეები, ანდრონიკაშვილები, სიდამონოვ-ერისთავები.**

—

**ევლახი.** ერის სიამაყეს, მსახიობ ნატალიას უდროოთ დაკარგვით თავზარდაცემულნი სადგურ ევლახში მცხოვრები ქართველები ვიზიარებთ მთელის ერის გოდებას და ვსწუხვართ, რომ პირადათ მუხლ-მოდრეკით ვერ ვეცით პატივი დიდებულს გვამს.

ევლახში მცხოვრებ ქართველების მონდობილებით. **მ. მაჩაბელი კ. ციციშვილი ს. ფაფერაშვილი.**

—

**მოსკოვი:** ღრმა მწუხარებით აღიბეჭდა მოსკოვის ქართველ საზოგადოების თვითეულ წევრის გულში სახელოვან მსახიობ ქალის ნატალია მერაბის ასულ გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალება. დაე, ნუგეშად-ღა გვქონდეს გამოჩენილ ხხატვარ ქალის მაღალ კულტურული მნიშვნელობა სამშობლო სცენის აყვავებაში. ვუერთებ ჩემს უსაზღვრო პირად მწუხარებას საერთო გლოვას ძვირფას ამხანაგის დაკარგვის გამო.

თავჯდომარე მოსკოვის ქართველ საზოგადოების, თავ. **ალექსანდრე ხუმბათაშვილი, არტისტი იუჟინი**

# შემიყვარე...

⁂

შემიყვარე... ნუ ჰგმობ წარსულს,
შენ ერთს გეტრფი, ვფიცავ ღმერთებს;
ჩემებრ წრფელად გულსა და სულს
სხვა ვერავინ გაგიერთებს.

ჩუ! ცა ფრთას შლის, მთებში შორს... შორს
სიო ჩაკვდა, გაინაბა;
შენც ხომ ეტრფი ჩემსა ამბორს?—
მაშ მაკოცე! მოდი... აბა?!

ჰო... ჰო... ეგრე. ვიშ! სატრფოს ჩემს
შეედრება ვინმე განა?—
ხან ვით ზღვა სჭექს, ხან ვნებით სთვლემს,
ხან ჰანგია, ხან სატანა.

**ი. გრიშაშვილი.**

# მოწერილი ამბები

**სოფ. სვენეთი** (გორის მაზრა) 15 აგვისტოს სოფ. სვენეთში წმ. მარიამის ეკლესიის დღეობა იყო. ამ დღეს აქ მუდამ წლივ აუარებელი ქართველი გლეხობა იკრიბება და დროს ატარებს. წლეულსაც ჩვეულებრივ შეიკრიბა ხალხი. შუადღის ხანს უეცრივ ხალხში აღმოჩნდა გორიდან წამოსული ორი ჯარის კაცი, რომელნიც სასადილოთ უთვიდიყვნენ. გულ უხვმა და სტუმრის მოყვარე გლეხებმა, მიიპატიჟეს ჯარის კაცები სადილად და გვარიანად გაუმასპინძლდნენ. სადილის შემდეგ ხალხი მინდორზედ გამოიფინა. ქალებმა თამაშობა გამართეს, ვაჟებმა ჭიდაობა. ერთმა ჯარის კაცმა მოინდომა ჭიდაობა. მოპირდაპირემ იქაურმა გლეხმა, საჩქაროდ წააქცია ჯარის კაცი. უკანასკნელს ჯავრი მოუვიდა, დაუწყო გინება გლეხებს მოინდომა თოფის სროლა. მაგრამ დიაკვანმა კორზახიამ და სხვებმა, როგორც იყო, დააშოშმინეს და ხალხს მოაშორეს ჯარის კაცს ერთმა გლეხმა გამართვა თოფი და ქათამი მოკლა. ცოტა ხნის შემდეგ იმავ გლეხმა კიდევ მეორე ქათამი მოკლა. თოფის ხმაზე მოვარდა სოფლის ნაცვალი, რომელმაც წამოავლო ხელი მოკლულ ქათამს და იმით დაუწყო ცემა ჯარის კაცს. ჯარის კაცი თავს იმართლებდა მე არ მომიკლავსო, მაგრამ ნაცვალს რუსული არ ესმოდა და ჯარის კაცს კიდევ ქართული. ნაცვალმა მოსთხოვა ჯარის კაცებს თოფები აეყარათ. ერთმა მაშინვე გადასცა თოფი ნაცვალს, მეორე კი გაიქცა. ნაცვალმა უბრძანა ერთ-ერთ გლეხს, არჩილა ხოხიკაშვილს, გამოსდგომოდ და წაერთმია თოფი. ხოხიკაშვილი კამოუდგა მაგრამ ჯარის კაცი მოუტრიალდა და თავის მდევარს თოფი დაახა. ხოხიკაშვილი წაიქცა და მალე კიდეც გარდაიცვალა. გაჩნდნენ სამხედრო ექიმი და აფიცერი. მკვლელი ჯარის კაცი შეიპყრეს და გორში წაიყვანეს. ასეთი უბედურება დატრიალდა სოფ. სვენეთში. მარიამობა დღეს.

**გ. ქ—ძე.**

—

**ს. ლეიხანდრაო** (სენაკის მაზრა). ძნელად მოიპოვება ისე ... მჭიდროდ დასახლებული სოფელი, როგორიცა ლეხაინდრაოა. ამისთანა მჭიდროდ დასახლებული პუნქტში მხოლოდ ერთი სასწავლებელი არსებობდა—სასულიერო უწყების ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა. ეს სკოლა ყოველ-წლივ გავსებული იყო მოწაფეებით, ბევრი იმათგანი ადგილს ვერა პოულობდა და იძულებული იყო ეარა სხვა სოფლის სკოლებში ხუთი-ექვსი ვერსი. ამ დაბრკოლების ასაცილებლად საზოგადოება დიდი ხანია ცდილობს ამ სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთებას. კიდევ წარსული წლის სექტემბერში „პროგოვორი“ შეადგინეს და შეიტანეს ეპარქიალურ სამოსწავლო საბჭოში, სადაც კისრულობდნენ თავის ხარჯით ქვითკირის შენობის აგებას. თუ კი საბჭო გადააკეთებდა სკოლას ორ-კლასიანად. მთავრობა დასთანხმდა ამ გვარ ცვლილებაზედ და მოუმატა მეორე მასწავლებელი სახელმწიფო ჯამაგირით. მაგრამ მას აქეთ სხვა და სხვა მიზეზების გამო სკოლისთვის საკუთარი შენობის აგება არ მოხერხდა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ერთხმად გადაწყვიტეს მოეყვანათ სისრულეში სკოლისთვის შენობის აგების საქმე. 16 აგვისტოს, დეკ. ა. გეგეჭკორმ სხვა სასულიერო პირების დახმარებით და მრავალი ხალხის თანადასწრებით დიდებულად აკურთხა შენობის საძირკველი. შენობის აგება საზოგადოებას დაუჯდება ექვსი ათასი მანეთამდე.

**მასწ. ი. ხ—ხ—ა.**

—

**ძირულის ხეობა.** იმერეთში მომოსვლა არსად ისე არ არის გაძნელებული, როგორც ძირულის ხეობაში. რკინის გზა კი არა გზატკეცილებიც არ მოიპოვება გარდა ერთ ვიწრო საურმო გზისა, რომელიც იწყება რკინის გზის სადგურ ძირულიდან და გადადის პირდაპირ ქართლში. ძირულის ხეობაში შედის ს. ბჟინევი. არსად ასეთი უთვალ ჩამორჩენილი სოფელი არ მოიპოვება ზემო იმერეთში. არ არსებობს ამ სოფელში არც სკოლა, და არც სხვა კულტურული რამ დაწესებულება; უმეცრება და ცრუ მორწმუნეება კი ძალიან დიდია. რამოდენიმე წლის წინად ამ სოფელში ამოახჩინეს მადანი მომრიგებელმა შუამა-

ერთობას სოფლისათვის ფრთები გამოება, ხალხთა საერთო მოძრაობას გული გაემაგრებინა.

შორით მოისმოდა ვიღაცას სიმღერა. მაგრამ ეს ძველებური, ნაღვლიანი სიმღერა აღარ იყო. ზავთიანი და მკვირცხლი სიმღერა იგი ხალხის მტრებს დამხობას უქადდა!,.

ის ის იყო ნიკა მინდვრებს უნდა გასცდენოდა,—ერთი ყანა-ღა ჰქონდა გასავლელი,—რომ ხშირ სიმინდებიდან ვიღაცამ რიხიანად გამოსძახა:

— ნიკას გაუმარჯოს, ნიკას! საით გასწიე ამ საღამო ჟამს?—ნიკა შედგა და მიიხედ-მოიხედა.

ყანიდან შარა გზაზე გამოვიდა პეტრიანთ სინა.

სინა მოხუცი კაცი იყო. გაბარძლული ულვაშები და ხშირი ყომრალი წარბები ასასტიკებდნენ წელში ოდნავ მოხრილს, მაგრამ ჯერ კიდევ ჰარმაგ გლეხს. სინას თავზე წითელი ჰუჰყიანი ხელსახოცი ჰქონდა წაკრული და ფეხშიშველა, დაძონძილ ახალუხიანი და საკინძე ჩამოხსნილი, განხორციელებული შრომა გეგონებოდათ.

— შენა ხარ სინა? გაგიმარჯოს! ძაან სიმინდი არა გქონია, ღმერთმა შრომა დაგიფასოს!—ღიმილით მიესალმა ნიკა.

— ღმერთი-კი მიფასებს, მაგრამ არ ვიცი ე ხალხი რას იზამს?!—ყრუთა სთქვა სინამ და ნიკას დაკოჟრებული და მორივით გარუჯული და გახრეკილი ხელი გაუწოდა. ნიკამ ხელი ჩამოართვა.

— ხომ არავინ გაგაჯავრა, ბიძია? ხალხი ახლა ილვიძებს, სამართალსა თხოულობს და შენ-კი იმდურები?—ღიმილითვე შეეკითხა ნიკა.

— გამაჯავრა-კი არა, შენმა მზემ, მ დროულმა კაცმა ლამის სული გავწირო და ჩემივე ხელით ყელი გამოვიჭრა!—ნაღვლიანათა სთქვა სინამ, მერე შეშინებულივით გაიხედგამოიხედა და განაგრძო—კარგია შეგხვდი, შენთან მინდოდა მოსვლა, მაგრამ ვერ გავბედე: შემეშინდა, არ გაიგონ და ბეზღობაში არ ჩამომართვან-მეთქი... რა ვქნათ, შენი ჭირიმე, საქმე გაგვიჭირეს, მოსვენებას არ გვაძლევენ, დღე და ღამ ძილი არა გვაქვს...

— ვინა, სინა, ვინ არის შენი შემწუხებელი?—სიტყვა გააწყვეტინა ნიკამ.

— ვინა და... ე ჩვენი რაზმელები, ჩვენი ასისთავი ბილაი, თავი გაუხმეს იმას! აბა შენ რა უნდა დაგიმალო, შენი ჭირიმე, ვიცი რო ტელორი არა ხარ, ვიცი რო ამ დროულ კაცზე იმათსავით სხცემრად არ მოიწევ—ამოიოხრა სინამ, ერთი კიდე მიიხედ-მოიხედა და საიდუმლო ხმით განაგრძო:—ე ხმას ხო აღარ მალებინებენ და არა, ერთ ორ გროშს მეგულებიან და იმის წართმევასაც მიპირებენ... კაცს-კაცზე მიგზავნიან, ფულები მოგვეცი, თორემა მოგკლავთო. ვინ მოუმცა, შენი ჭირიმე, იმდენი ფული, ან თუნდა მქონდეს, რათ უნდა მივცე? იმ დღეს ხუთიოდე თუმნის ღვინო გავყიდე, იმას მედავებიან... სადა აქვთ სამართალი მაგ ურჯულოებს? მთელი წელიწადი ვენახში თავი ჩავიკალი და ი ორიოდე გროშიც რო იმათ მივცე, ე ცოლშვილი რიღათი გამოვკვებო, მტერსა და მოყვარეს რიღათი დავუხვდე? ე „ერთობის ფულს“ ხო მახდევინებენ და სხვა რაღა უნდათ? რაც ერთობა დაიწყო, მგონია, სამი ფოჰტის ფულის ოდენა გადამიხდია. შენი ღვთის გულისათვის დამიხსენი, შენი ჭირიმე, ნიკა, მაგათ ხელიდან, დამიხსენი მაგათ რისხვისგან... ამბობენ რო შენც კომიტეტის კაცი ხარ!—ხვეწნით დაეღრიჯა სინა ნიკას, ამოიოხრა, მხრიდან თოხი ჩამოიღო, გზის პირად ჩამოდგა და თოხს დაეყრდნო.

— ვინ მისცათ ნება ხალხის შეწუხებისა? ან იქნება რაზმელები არ არიან?—სიტყვა გაუქარწყლა ნიკამ, თუმცა რაზმელებზე სხვაც ბევრი რამა ჰქონდა დანამდვილებით შეტყობილი.

— რას მიბრძანებთ, შენი ჭირიმე! მა ვინ არიან? მთელი სოფელია და ეგენი... იმ დღეს ჩვენებიანთ ქეთევანას მისჭროდნენ, გინდა თუ არა ვახშამი გვაჭამეო, ქათმები დაგვიკალიო. აბა, ვინ მიაქვავა ქათმები ქვრივ-ოხერ დედაკაცს? ერთი კრუხი თურმე უჯდა კვერცხებზე, საბუდრიდან ამოიყვანა და ის კრუხი დაუკლა. იქიდან მე გამომიარეს და კიდევ დამემუქრნენ... რავქნა, რა წყალში ჩავვარდე—როგორ არა ვთქვა, შენი ჭირიმე—თუ კი ასე გაგვიძალიანდებოდნენ, ერთობა რაღათ გვინდოდა?—ჩავარდნილისა და გაუბედავის ხმითა სთქვა სინამ.

— ერთობა აქ რა შუაშია, ჩემო სინა!—უპასუხა ნიკამ—რაზე ებრიყვებინებით ვინც უნდა იყოს, რატომ სოფელი ხმას არ იღებს, რატომ თავიდან არ მოიშორებთ, ხომ ყველას იცნობთ?

— ვინ გაუბედავს, შენი ჭირიმე, სიტყვის შებრუნებას, ვისა აქვს თავი მოსაკლავი? მაშინვე ჰკვრენ თოფსა და გადააბრუნებენ. ი ოჯახდასაქცევ ბილას მთელი ხეობა მუჭაში უჭირავს! ი რაღაც კომიტეტი ყოფილა, იმათი დაყენებული ვართ და ურჩობას არავის შევარჩენთო, ასე მოგახსენებენ... ტელორები ვართო...

ნიკამ მწარეთ ჩაიცინა, მოხუც სინას უვიცობამ გული ატკინა.

— განა რომელი კომიტეტი მოიწონებს მაგათ საქციელს? ან იცი კი რა არის კომიტეტი... ტერრორი?—ნაღვლიანად შეეკითხა ნიკა.

— აბა, რა ვიცი, შენი ჭირიმე!.. ეს კი ვიცი, რო, რაც ი კომიტეტის სახელით ჩვენი ხეობიდან ტელორებმა ფული გაზიდეს, ლიახვს დააგუბებდა, აღარ ეყოთ? მაგრამა, ასე მგონია, სუ თითონ ჩაჯიბეს... აგერა, შენი ჭირიმე, მალხაზაანთ თედუამ სახლები აიშენა, ცოლი მოიყვანა. ი სიკალამ კიდევ მდევივით კამეჩები იყიდა, ი ბილამ ხო...— სინას კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ უცბათ ხმას დაუკლო და შეშინებულმა ნიკას წასჩურჩულა:

— შენი ჭირიმე, ეს სიტყვა ჩვენში დარჩეს... ვიღაცები მოდიან.

ყანის თავში გამოჩნდნენ ორი გლეხი და ერთი აზნაური. აზნაური გლეხებზე უარესი დაბეჩავებული იყო. მარტო გრძელი ჩერქეზული, ოცგან დაკონკებული ახალუხი, ასეთივე ჩოხა, ძალზე გაქუცული კალმუხის ქუდი და უვაქსობით გაწითლებულ-გარუხვებული, ქუსლებ დაცვივნული ყელიანი წაღები თუღა მოწმობდა მის „კეთილ-შობილებას“.

აზნაური ნიკას კარის მეზობელი და ნათესავი იყო, გლეხები-კი—მისვე ნათელ-მირონები და თანშეზრდილნი.

მათ დანახვაზე სინამ თავისუფლად ამოისუნთქა,—უცხოები არ გამოდგნენ,—ნიკა-კი შორიდანვე მიესალმა.

— გამარჯობათ, ამხანაგებო!—ერთობას გაუმარჯოს!—თავის მხრივ მიესალმნენ მოსულები ნიკასა და სინას.

— ამისთანა ერთობაც დაიქცეს, ე ფული-კი გაგვიმწარეს და!—ღრეჯით დაუმატა აზნაურმა. ეტყობოდათ, რომ ახლად-მოსულებიც ერთობასა და რაზმელებზე მოლაპარაკობდნენ.

— ნუ ხარ, კაპიტანო, ე დოღრიალა!—აზნაურს მეტ სახელად „კაპიტანს“ ეძახდნენ, ოდესღაც თავისუფალ ჯარის-კაცად იყო—თუ გაგიგონეს?—სიცილით გააწყვეტინა სიტყვა სინამ.

— თუ გამიგონეს, მამა უცხონდებათ, ხოდაბუნები არ ჩამომართვან! ამაზე მეტს რაღას მიზმენ, შვილოსან: გინდა შიმშილს მოუკლავარ და გინდა რაზმელის ტყვიას, განა ჩემთვის სულ ერთი არ არის?—აღარ ისვენებდა აზნაური—სადაური ერთობაა, სადაური მეზობლობაა? რომელი მუხრან-ბატონი მე მნახეს მაგ ოხრებმა, რომ ლუკმას მიწყვეტენ და სახლის შეკვრას მემუქრებიან—აზნაური ხარო! აღარ მინდა მაგათი აზნაურობა, ახა ღმერთო ჩემო, რას ჩამცივიან! წაიღონ ი რაღაც გახრეკილი ეპოლომი მაქვს და მეზობლებში კი ნუ გამომაკლებენ. არა, რომელი უპირული კაცი მე მნახეს? ი ცინგლიან სიკალას აღარა ვჯობივარ, იმაზე მეტი მაინც აღარა მესმის, იმზე მეტათ აღარ მიყვარს სოფელი და ხალხი? მაშინ მოკვდეს ჩემი თავი, თუ ყველანი ჯიბეში არ ჩავისხა, მაგრამ გაგონება რო აღარა აქვთ? აულიათ, ბატონო, თოფები და სოფელ-სოფელ თულებივით დაძვრებიან. როცა შავი-რაზმი იყო, კიდევ ჰო,—მოწინააღმდეგეებს გამკლავება უნდა,—მაგრამ ე შავი-რაზმიც ხო დაიშალა, რატომ ეგენი კი არ დაჰყრიან ი ვერანა თოფებს! რას დაათრევენ? ვის აშინებენ? როცა საჭირო იყო და ყაზახები აქაურობას იკლებდნენ, პირველათ მაგათ მოცრცხეს ტყეში და ახლა ჩვენ გვიდიდგულდებიან?! ხალხნო, ქრისტიანებო, ასე უნდა დავებრიყვინოთ?.. რუსები კურდღლებს ურმით იჭერენ და ეგენი კი ჩემისთანა დაბეჩავებულებს, თავისსავე მეზობლებს, თოფებს გვამიზნებენ! რა ვაჟკაცობაა??—ცხარობდა „კაპიტანი“.

— ჩვენში კი დარჩეს და—ჩაურთო სიტყვა ერთმა გლეხთაგანმაც—ცოცხლები რო არ ვიყოთ მაგათ გადამკიდე, ის გვირჩევნია... საცა კარგი ღვინოა, შვილოსან, მაგათია; საცა მსუქანი დედალია, ეგენი მიირთმევენ; საცა კაი ქილია, მაგათ უჭირავთ თვალი, საცა კარგი ცხენებია, ეგენი დააჯირითებენ! ყაზახებმაც მეტი კი არა გვიყვესრა!! გააჩანაგეს სოფელი მაგ სათოკეებმა, მაგათ... სუ ი ჩვენი ასისთავი კაა სოფლის ამომგდები!—თავის ქნევით დააბოლოვა სიტყვა პირველმა გლეხმა.

— ხელად კი არ წაავლო კუდში ხელი!—დაცინვითა სთქვა მეორე გლეხმა—ვერა ხედავ რა პტყელპტყელებსა ლაპარაკობს ხოლმე ჩვენი ბილაი? პოლეტარმა ბძანაო... პოლეტარმა გამოგზავნაო, ყველაფერს ი პოლეტარს აბრალებს, მაგრამ მე კი ვიცი, რო გაბრიყვებული, თუ მოსყიდული ჰყავს ქალაქში ნაგდები და გაწუწკებული ჩვენი ბიჭბუჭები და რასაც უნდა, იმას აჭნევინებს... რომელი ერთი უნდა სთქვას კაცმა...

— ეჰ, შვილოსა!—ამოიოხრა სინამ—სოფელი არ ვარგა, თორემა უნდა სათითაოდ დაიჭირო, გააწვინო და იმდენი სცემო, რო რაც სიგრძე აქვთ, ის სიპტყე მისცე!

— ჰო და ეგრეც მოიქეცით!—გულიანათ წამოიძახა განაგონევით აღშფოთებულმა ნიკამ.—ხალხნო, ჩვენ ცხვირწინ-კი ნუ ვლაპარაკობთ, საქვეყნოდ გამოვაცხადოთ ჩვენი

ვალმა და გრიგოლ წერეთელმა შუამდგომლობა აღძრეს სამთამადნო სამმართველოს უფროსის წინაშე, რომ ინჟინრებს გამოეკვლიათ, თუ რა მადანი აღმოჩნდა. მოსულმა ინჟინრებმა გამოიკვლიეს: რომ მადანი „горный ленъ"—ანუ „აზბესტია", მაგრამ შედარებით ცოტა არავინ იცის, დაიწყებენ თუ არა წარმოებას! თუ წარმოება დაიწყეს, შესაძლებელია რკინის გზაც გაიყვანონ სად. ძირულიდან, რაც დიდს სამსახურს გაუწევს ძირულის ხეობელთ.

ძირულის რკინის გზის სადგურში დაარსდა სავოსტო განყოფილება პრივიზორ ქათამაძის მეცადინეობით, მაგრამ იმის დიდი ნაკლი ის არის, რომ წერილების დამტარებელი არ ჰყავს.

ძირულის ხეობაში შედის აგრეთვე ხარაგაულის სამღვდლოხინო. აქაურს მღვდლებს მოუვიდათ სანიმუშოდ ტფილისის სასინოდო კანტორისაგან ორი ნომერი ახლად გამოსული „Вѣстникъ Грузинскаго Экзархата"-სი ექსარხოსის კანტორა ავალებს აქაურ მამებს აუცილებლივ გამოიწერონ ეს გაზეთი. წასულ წლებში სამღვდელოება იღებდა რუსულ ორგანოსთან ერთად ქართულ „სასულიერო მოამბესაც" რომელშიაც იბეჭდებოდა ხოლმე სარწმუნოებრივი და ზნეობრივი ქადაგებანი აგრეთვე ზოგჯერ პედაგოგიური შინაარსის წერილებიც. ეხლა კი რუსულ სასულიერო ორგანოს სრულიად არ ახლავს ქართული ორგანო. სოფლის მღვდლებში ზოგს რუსული კითხვა არ ეხერხება და რუსულ ორგანოს კი აძალებენ.

ლორეშელი კაცი.

## თეატრი და ხელოვნება

**დრამატიული კურსები.** ქართულ დრამატიულ საზოგადოებას აზრადა აქვს დრამატიული კურსები გახსნას თავის დასის მსახიობთა და თანაშემწეთათვის. განზრახულია გარდა სპეციალურ სათეატრო საგნებისა, როგორიც არის, მაგალითად, პლასტიკა, მიმიკა, დიქცია, დეკლამაცია, გრიმი და სხვა, მოწყობილ იქნება ლექციები საერთოდ ევროპისა და რუსეთის ლიტერატურის და კერძოდ დრამატიულ ლიტერატურის შესახებ. დირექტორებად მოწვეული იქმნებიან ჩვენი ცნობილნი ლიტერატორები და კრიტიკოსები.

—

**რეპერტუარი.** როგორც გადმოგვცეს, გარდა უკვე დასახელებულ პიესებისა რეპერტუარი შეტანილ იქმნენ კიდევ სამი ახალი პიესა „კეისარი და კლეოპატრა" ცნობილ ინგლისელ მწერლის ბერნარდ შოუსი, ახალი კომედია იაპონელების ცხოვრებიდან „ტაიფუნი" და ახალი დრამა ჩვენი დრამატურგისა ნ. შიუკაშვილისა „გამხმარი ფოთოლი". წარმოდგენილი იქნება აგრეთვე იმავე ნ. შიუკაშვილის მეორე დრამაც „მეგობრობა", რომელიც „გამხმარი ფოთოლის" გარძელებას წარმოადგეს.

—

**ს. აბედათი.** (სენაკის მაზრა). 16 აგვისტოს ქუთაისის ქართული დრამატიული დასის მსახიობმა სანიკიძემ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოადგინა ვ. გუნიას ცნობილი პიესა „და-ძმა". მიუხედავად მრავალი ტეხნიკური დაბრკოლებებისა, წარმოდგენამ საერთოდ გვარიანად ჩაიარა. გვარიანი მარინე იყო ქ-ნ ჩ—ნისა. კარგად იცოდა როლი ბ. ს—ლმა, (გაიოზ) თუმცა როლის ცოდნა მარტო საქმეს არას არგებსო; მან შესაფერი გრძნობის კილოთი ვერ დაგვიხატა ის ადგილი, სადაც გაიოზი დაეტაკა მარინეს და თითეულად ცხად ჰყო მისი საზიზღარი საქმეები ოტიასთან. დიდი აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება ბ. დ—ლიამ (ადამიას როლი) განსაკუთრებით, იქ, როცა მან შესაფერი გრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა წამებ(ი)ს წინ. არა უშავდათ ფაშა ეფენდის და ოტიას როლების მოთამაშეებსაც.

წარმოდგენას პრავალი ხალხი დაესწრო. სჩანს, რომ აქაური საზოგადოება გულ-გრილად არ უყურებს წარმოდგენების გამართვას. მხოლოდ ერთი რამ ავნებს საქმეს—წარმოდგენისთვის საკუთარი შენობის უქონლობა. ბიბლიოთეკა სამკითხველოს მხრით აბედათელები უზრუნველ-ყოფილ არიან. კარგი იქნება სამკითხველოს გახსნის ინიციატორები აქაც გამოიჩენდნენ ენერგიას და მოსძებნიდნენ რაიმე თანხას სათეატრო შენობისთვის.

კვანთარი.

---

გულის-წყრომა... სოფელი შევყაროთ და იქა ვსთქვათ, რაც სათქმელია.

— მერე ვისა აქვს თავი მოსაკლავი?—სოფელი, ჩემო ნიკა, უპიროა, შენ როდი იცი!—გულ ნაკლულადა სთქვა სინამ—ისევ იკომინეტს თუ მივმართავთ, თორენა...

— მხდალებო, მშიშარებო!.. ნეტა როდის რა ეღირსება, რომ ჯერ ჩვენი ძალ-ღონეც არ მეგვიგნია!—ბოლმა მორევით წარმოსთქვა ნიკამ და მეზობლებს განშორდა. მათმა ნალაპარაკევმა გულზე ცეცხლი უფრო მოუკიდა და ნაბიჯს მოუმატა.

— ვნახოთ, რა გამოვა რისგანა—მიბუტბუტებდა ნიკა და მიჰქუსლავდა.

— სად მიხვალ, ბიჭო, ამ დროს? —როდის-როდის მიაყვირა კაპიტანმა და დიდხანს თვალი გააყოლა.

ნიკას ხმა არ გაუცია.

— ეჰ, უმსხვერპლოთ არა იქმნება-რა!—ხმა მაღლა ინუგეშა თავი ნიკამ, როცა ნაცარ-გორას გადასცდა და წუნარის წვრიმალადან მონაბერმა სიომ საყვარლად დაჰქროლა.

— წინ, ¡წინ! ან სიკვდილი, ან სიცოცხლე თავისუფალი!—კიდევ წამოიძახა ნიკამ და შესდგა, მუხლებს ქარი იმოაღებინა, მაღლიდან დაბლა გაშენებულ სოფელს გადმოხედა.

ჩამავალი მზის სხივები კავკასიონის მთის მწვერვალებს ეთამაშებოდნენ. ჩამუქებულ ხეობაში სახლები და ეკკლესიები თეთრად მოსჩანდნენ. შორს მთის ძირში-კი უდარდლად მიიზლაზნებოდა ლიახვი და ლაჟვარდოვან ტალღებს მიათამაშებდა.

ნიკამ თვალი ველარ მოაშორა ტურფა,წალკოტად გადაქცეულ ხეობას. რამდენჯერმე აათვალიერ ჩაათვალიერა იგი ხეობა და ბოლოს ერთ წერტილს დააცქერდა. იქ, კაკლის ხეებსა და ვენახებ შუა, მოსჩანდა მისი სახლი, ხოლო ცოტა იქით.—თინაანთ სახლიც. უყურა, ნიკამ ამ ორ, თავისს თვალის ანდამატ სახლს და... გულმა მწარედ შემოჰკვნესა...

იბ ეკალაძე.

(შემდეგი იქნება)


## განცხადებანი

## დალმატი გალდავას

დაბეჯითებით ვსთხოვ, დამიბრუნოს ის წერილი, რომელიც 27, თუ 28 მაისს გადავეცი, მოსკოვში, ტვერის ბულვარზე დროებით მეჰანაზათ ბარათაშვილის ხაზელზე, რადგანაც ამ ბარათში საჭირო დოკუმენტებია.

ადრესი: Москва. Художественны театръ. А. Пагава. (3—2)

„რ ა მ ი"

საუკეთესო და სასარგებლო

ნაქსოვი ზაფხულის თეთრეული.

ძმ. ა. და ი. ალშვანგი

სასახლის ქუჩა. ტელეფონი № 477. (5—6.—2)

კომერციულ ცოდნათა გამავრცელებელ ტფილისის საზოგადოების

ახალ 8 კლ. კომერციულ სასწავლებელში

დანიშნულია მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ, 1 და 2 კლასებში 28 აგვისტოს 1, 2 და 3 სექტემბერს; საანბანო განყოფილებაში მიიღება უეგზამენოდ. დამატებითი გამოცდები მეხუთე კლასში მოხდება 31 აგვისტოს.

სწავლა დაიწყება 6 სექტემბერს. თხოვნები მიიღება დილის 9—12 საათამდე. მიხეილის პროსპ. 16—18, ხოლო 20 აგვისტოდან, ელისაბედის ქ. 79, კიროჩნის ქუჩის კუთხის იქით. (5—გაგ.—2)

ივანე ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვის

უფლებიან სავაჭრო სკოლაში და საბუხჰალტერო კურსებზე

მ ი ღ ე ბ ა მოხდება 25, 26, 27 აგვისტოს და სწავლის დაწყებამდე, თუ თავისუფალი ადგილი იქნება.

თხოვნები მიიღება დილის 9—12 საათამდე. სწავლა დაიწყება—სავაჭრო სკოლაში 6 სექტემბერს, ხოლო კურსებზე 15 სექტემბერს. მიხეილის ქ. N 16—18. (6—გაგ.—2)

## წიგნის მაღაზია „ახალი სიტყვა"

(НОВАЯ РѢЧЬ)

ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა

(ტფილისი, გოლოვინის პროსპ. სახაზინო თეატრის პირდაპირ)

ამით აცხადებს, რომ მომავალ სასწავლო სეზონისათვის მაღაზიამ მიიღო მრავალი სახელმძღვანელოები საუკეთესო ყდით კავკასიის სამოსწავლო ოლქის ყველა სასწავლებლებისთვის. პროვინციალურ წიგნით მოვაჭრეებს დაეთმობათ წიგნები დიდის ფასდაკლებით. შეკვეთილი წიგნები იგზავნება სულ მოკლე ხანში.

ამასთანავე მაღაზიაში მოიპოვება ყველა ახლად გამოცემული სამეცნიერო, სალიტერატურო, ბელლეტრისტიული და სხვ. შინაარსის წიგნები.

(3—102—1) პატივისცემით ი. დ. კიკნაძე.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საბუხჰალტერო კურსები ნ. ვ. აბრამიანისა.

ავტორი „ვაჭრობ. ფაბრ. და ნავთის წარ. ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოსი", რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილებ., როგორც სახელმძღვანელო კომერციულ სასწავლებელთათვის,

ასწავლიან და ამზადებენ ორივე სქესის პირთ

უკანასკნელ გაუმჯობესებულ მეთოდით ოთხი თვის განმავლობაში სხვა და სხვა სისტემის ბუხჰალტერიას და საკომერციო სპეციალურ საგნებს.

გარდა არსებულ საგანთა სწავლებისა, კურსებზე ასწავლიან უცხო ენებს, სტენოგრაფიას და რემინგტონს (სავალდებულო არაა).

კურსების მასწავლებლად უმაღლეს სასწავლებელში კურსდამთავრებულნი და თავიანთ საგნის სპეციალისტები არიან.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს 1910 წ. პერიოდულად ყოველ 4 თვეში ნასადილევს თხოვნები მიიღება ყოველ დღე საღამოს 3—7 საათ. და დილის 9—12 საათამდე. კურსის შესრულების შემდეგ ეძლევა ატესტატი ფინანსთა მინისტრის ნებართვით

ამას გარდა კურსებთან ცალკე გახსნილია საგანგებო რუსულ ენისა და არითმეტიკის მოსამზადებელი კურსები ნაკლებად მომზადებულთათვის.

წესდება და პროგრამები ეგზავნება მსურველს უფასოდ. მსურველმა უნდა მიმართოს წერილობით თუ პირადად კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, N 22, ტელეფონი 7¼.

ზემოდ დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორისაგან გამოიწერს—გასაგზავნ ფულს არ იხდის. ფასი თითო ცალის 3 მ. 50 კ. (0—ღ—4)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## კომერციულ ცოდნათა კურსები ტ. მ. ფილოიანისა,

(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 27—4).

სპეციალური კომერციული განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის. კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებლებში (ლონდონში) და პიგიერის მუსტერ-ლომტუარში (პარიზში). მასალა რეალურ ცხოვრებიდან აიღება. საგნები: ა) სავალდებ. 1. ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, საბანკო და საფაბრიკო საქარხნო). 2. კომერციული არითმეტიკა. 3. პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5. კომერციული კორესპონდენცია. 6. არითმეტიკა ჩოთქზე. 7. კალიგრაფია, სწორი წერა (ხელის გასწორება). ბ) არა სავალდებულო: 1. უცხო ენები. 2. ტენოგრაფია. 3 დაკტილოგრაფია (რემინგტონი და სხვ.) და 4. კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე ინდივიდუალურად.

კურსების ლექტორები არიან სპეციალისტები უმაღლეს განათლებით.

თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით და 4—7 ს. საღამ. სწავლა იწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების ხადგომიდან,

(1—1) კურსების დირექტორი ტ. ფილოიანი.

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს (6.—167

წიგნის მაღაზიების პატრონთა

## საყურადღებოდ

იყიდება 40% დაკლებით ვინც ხუთ ცალზე მეტს იყიდის: თხზულებანი ია ეკალაძისა (თომაანთ კობასი) ღირებული მანეთად, და საყმაწვილო წიგნი მელიას თავგადასავალი, ა. ნათაძისა

ღირებული 25 კაპ., დაბეჭდილი 1904 წ. მსურველთ მიმართონ სახალხო გაზეთის რედაქციაში პ. ახალკაცს. (10—2)

## მუცლის

სარტყელი, რომელიც დაიფარავს მუცლის ავადმყოფობათაგან

ძმ. ა. და ი. ალშვანგი.

სასახლის ქუჩა, ტელეფონი 477. (5—6.—2)

## საბუხჰალტერო კურსები

ტფილისი, სანაპირო ქუჩა, ვერის ხიდთან № 19.

## ი. ფონ-ბრენნერისა,

(სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტისაგან და ფინანსთა სამინისტროს სასწავლო განყოფილებისაგან ყველა საკომერციო სასწავლებელში სახმარებლად მოწონებულ სახელმძღვანელოების ავტორისა).

კლასსები დაარსებულია 1890 წ. და ცნობილია სამოსწავლო მთავრობის მიერ. კლასები აძლევენ სპეციალურ საკომერციო მომზადებას ორივ სქესის პირთ, ვისაც ჰსურს მიიღოს ადგილი ბუხჰალტერის, კორესპონდენტის, ანგარიშთა მწარმოების აგენტისა და სხვა.

კლასსებში ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) ბუხჰალტერიას (ორმაგი, იტალიური) და სხვა სისტემები, საგანგებო ანგარიშების წარმოება: საბანკო, საფაბრიკო, საქალაქო და საეროფო საბჭოების, არყის მონოპოლიის, საქარხნო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სწავლება დაყენებულია პრაქტიკულად და მოსწავლენი პირველ გაკვეთილიდანვე ეჩვევიან საკუთრივ აწარმოვონ წიგნები. 2) კომ. არითმეტ.—საბანკო, საქინლისა, სავექსელო და სხვა ანგარიშებისა. 3) კორესპონდენტიას—კომერციულ წერილების შედგენა საბუხჰალტერო სწავლის, კომერციულ არითმეტიკის და სავაჭრო კანონების მიხედვით, 4) კალიგრაფიას—ხელის გასწორებას სხვა და სხვა ხასიათის შრიფტების შესწავლას: 5) კანონდებას—სავექსელო, საგერბო, სამრეწველო, საკრედიტო და სხვა წოდებათა შესწავლას. 6) საწერ მანქანებზე წერას; მოსწავლეთა განკარგულებაში იმყოფება 10 სხვა და სხვა სისტემის მანქანა, რომლებზედაც თავისუფალ დროს შეუძლიანთ თავისი სამუშაო გაიკეთონ. ამასთანავე ტეხნიკოსის ზედამხედველობით შეისწავლონ ტეხნიკა და მანქანების მექანიზმი. 7) საქონლის ცნობას,—გააცნობს მოწაფეებს ადგილობრივ ბაზრის უმთავრეს საქონლის ქიმიურ შედგენილობას და იმის თვისებათა გამორკვევას. ამ მიზნისთვის კლასსებს საგანგებო კაბინეტი აქვს მოწყობილი. 8) ანგარიშის ჩოთქზე—არითმეტიკულ და ალგებრაულ ამოცანების კეთებას. განმარტებული და ამერიკული წესები, ყველა არითმეტიკული მოქმედებანი და ამოცანების კეთება მთელის კურსის განმავლობაში წარმოება მხოლოდ ჩოთქზე. მოსწავლეთა საერთო და საგანგებო განვითარებისათვის მოწყობილია ბიბლიოთეკა საუკეთესო სახელმძღვანელოებით სასწავლო საგნების ლიტერატურიდან. მოსწავლეებს წიგნები შინ წასაღებადაც ეძლევათ.

კლასსებში კურს დამთავრებულთ უსასყიდლოდ შეუძლიანთ იქონიონ პრაქტიკა ი. ფონ ბრენერის სატეხნიკო და სავაჭრო—სამრეწველო ბიუროს კანტორაში, რაც, უეჭველია, დიდად სასარგებლოა მოსწავლეებისათვის.

კლასები შესდგება სამის განყოფილებისაგან: 1. განყოფილებაში მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნენი, 2 ში—საქალაქო ან საჰკლასიან საშუალო სასწავლებელში კურს დასრულებულნი. და მე-3 ში—ბუხალტერის და კომერციულ არითმეტიკის პრაქტიკული მცოდნენი. დასაწყისი სწავლის 15 სექტ. თხოვნები მიიღება და ცნობები მიიცემა კლასსების კანცელარიაში, ტფილისში, სანაპირო ქუჩაზე, ვერის ხიდთან, საკუთარ სახლში N 19 ან სერგიევის ქუჩაზე N 4. კანცელარია ღიაა ყოველ-დღედილის 9 ნ 1—ამდე და საღამოს 5—დან 8 საათამდე. ტელეფონი N 929 და 1044. (20—ბუზ—3)

ყველა ჩვენ აპპარატს აზის ფაბრიკის საკუთარი ნიშნები „მ წ ე რ ა ვ ი ა ნ გ ე ლ ო ზ ი"

აქც. საზოგადოება

## გრამაფონი

ტფილისი, გოლოვინის პროსპ. 9, ტელეფ. № 69.

მოგვეპოვება მომღერალთა შემდეგი ფირფიტები



| ადგილობრივი: | რ უ ს უ ლ ი: |
|---|---|
| კავსაძე, კარგარეთელი, ტომაშევიჩი (ქართველი), გ. ბაგრატ, ნიკოლი, კომიტას ვარდაპ. კავსაძე, მადჟიდ-ბეგბუტოვი, ჯაბარი, კორიაგ დიევ მაშადი მამედ-ფარზალიევ, ამირჯან და ბევრი სხვა. | ფ. ი. შალიაპინი. ლ. ვ. სობინოვი. დ. ა. სმირნოვი. ვ. პ. დამაევი. ნ. ვ. გრიზუნოვი. ლ. ვ. ნეჟდანოვი. მ. ა. მიხაილოვი. ნ ს. ერმოლენკო-იუჟინისა. ვ. ნ. პეტროვ-ზვანცევი. ე. ი. ზბრუევი და ბევრი სხვა. |

ამას გარდა მივიღეთ დიდძალი ფირფიტები „ქუთაისის მოტივები".

მოითხოვეთ უფასოდ ამ ფირფიტების კატალოგი.

ფირფიტები 65 კ. და უფრო მეტი.

აპპარატები 35 მანეთიდან და უფრო მეტი.

АКЦ. ОБЩ. „ГРАММОФОНЪ"

Тифлисъ, Головинскій просп. 9, телеф. № 69.

კატალოგები მოითხოვეთ უფასოდ. (0—5)

## სნერგე ამერიკულ ვაზისა

„კლო-უგურული" ქუთაისში.

უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები

მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—54)